გერმანე გვარამია

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: germane.gvaramia736@sps.tsu.edu.ge

სასკოლო განათლება, როგორც გადარჩენის სტრატეგია სკოლაში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის დროს

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში ტერორიზმი მსოფლიოს უსაფრთხოების არქიტექტურის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ტერორისტების მიზანია დომინირების მოპოვება მსოფლიო დღის წესრიგზე სხვადასხვა რბილ სამიზნეებზე, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე განხორციელებული თავდასხმებით. სტატიაში წარმოგიდგენთ სკოლაში მომხდარი თავდასხმების დროს საჯარო რეკომენდაციების შესახებ არსებული ცოდნის მიმოხილვას. კერძოდ, შესწავლილი და გაანალიზებულია დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა მოიქცეს სკოლაში მყოფი პირი, როცა შენობაში ხორციელდება ტერორისტული თავდასხმა იარაღით. აღნიშნული სახელმძღვანელო ინსტრუქციები ცნობილია შემდეგი სახელწოდებით: „გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე“ და „გაიქეცი, დაიმალე, იბრძოლე“. განსახილველი სტრატეგიები აღიარებულია და სასწავლო მასალად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საფრანგეთში, ავსტრიაში, შვედეთსა და ნორვეგიაში. ამავდროულად, სტატიაში განხილულია და გაანალიზებულია კვლევების შედეგები, რომლებიც ჩატარდა დიდ ბრიტანეთსა და დანიაში.

თეორიული მასალის გაანალიზების საფუძველზე დაიგეგმა ემპირიული კვლევის ჩატარება საქართველოში. კვლევის ძირითად მეთოდად შეირჩა პრე და პოსტ ტესტების მეთოდი, რაც ინტერვენციული პროგრამების შეფასების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ინტერვენცია განხორციელდა საგანმანათლებლო ტრენინგის სახით. კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი. რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით. კვლევის პროცედურული ნაწილი მოიცავდა რესპონდენტთა გამოკითხვას ორ ტალღად ერთი და იმავე კითხვარის მეშვეობით (ტრენინგამდე და ტრენინგის შემდეგ). პროცედურები ჩატარდა კვლევის ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი განხორციელდა პროგრამა IBM SPSS Statistics 23-ის მეშვეობით.

ემპირიული კვლევის მთავარ შედეგს წარმოადგენს ის, რომ კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენცია მაღალეფექტიანად შეიძლება მივიჩნიოთ: პირველ და მეორე ტალღებს შორის არსებული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია

(Sig.=0.000), ხოლო ინდექსებს შორის განსხვავებამ ტალღების მიხედვით, 28.1% შეადგინა, რაც პირველი ტალღის მაჩვენებლის 80.7%-ია. აღნიშნული შედეგის მიღება მეტყველებს იმაზე, რომ სასკოლო განათლება ეფექტიანი სტრატეგიაა სკოლაში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის დროს.

საკვანძო სიტყვები: ტერორისტული თავდასხმა, სკოლა, საგანგებო სიტუაცია, დამცავი ქცევა, მოსწავლე.

შესავალი

ტერორიზმის გლობალური საფრთხის უფროდაუფრო მზარდი მასშტაბებიდან გამომდინარე, სასკოლო განათლების როლის შეფასება სკოლისა და მოსწავლეების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების აღკვეთაში ინტენსიური ყურადღების ფოკუსშია მოქცეული. სტატიის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ცოდნა იმ დამცავ ქცევათა მოდელების შესახებ, რომლებიც დაეხმარება სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დაწესებულებაში ტერორისტული თავდასხმის შედეგად შექმნილი საგანგებო სიტუაციის დროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისკენ მიმართული საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანაში. სტატიის ამოცანაა საქართველოში, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ კვლევებსა და სამეცნიერო სფეროში არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით გაანალიზოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ტერორისტული თავდასხმის დროს გამოსაყენებელი მარტივი და ადვილად დასამახსოვრებელი ინსტრუქციები და მათი მნიშვნელობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის მაგალითზე ტერორიზმის პრევენციის კვლევები სიახლეს წარმოადგენს. კვლევის ძირითადი მიზანია, სასკოლო განათლების როგორც გადარჩენის სტრატეგიის მნიშვნელობის შეფასება სკოლაში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის დროს, ხოლო კვლევის ამოცანებს წარმოადგენს 1. ქვეყნისა და სკოლის წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეების შესახებ სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და გაცნობიერების დონის შეფასება საგანმანათლებლო ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ;

2. სასკოლო უსაფრთხოების სისტემის აუცილებლობისა და სკოლაში ტერორისტული აქტის შედეგად შექმნილ საგანგებო სიტუაციაში მოსწავლეთა მხრიდან განსახორციელებელი ქმედებების შესახებ სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და გაცნობიერების დონის შეფასება საგანმანათლებლო ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ;

3. უცხო ნივთებთან მოპყრობის წესების შესახებ სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და გაცნობიერების დონის შეფასება საგანმანათლებლო ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ;

4. ტერორისტული საფრთხის მიმანიშნებელი საეჭვო ქმედებებისა და მასთან მიმართებაში გასათვალისწინებელი წესების შესახებ სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და გაცნობიერების დონის შეფასება საგანმანათლებლო ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ;

5. ტერორისტული ხასიათის ქმედებების გამო პასუხისმგებლობის მექანიზმების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და გაცნობიერების დონის შეფასება საგანმანათლებლო ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ;

6. ტერორისტული რადიკალიზმის შესახებ სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და გაცნობიერების დონის შეფასება საგანმანათლებლო ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ.

ლიტერატურის მიმოხილვა

ტერორიზმი კარგა ხანია გასცდა ერთი ქვეყნის საზღვარს და შეიძინა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახე. საერთაშორისო ფაქტორის სახით ტერორიზმი ძირითადად ჩამოყალიბებას 1950-60 წლებიდან იწყებს (აბაშიძე, 2012). პროფესორ ბრუს ჰოფმანის აზრით, ტერორიზმი არის ძალაუფლებისკენ სწრაფვა, მისი მოპოვება და გამოყენება პოლიტიკური ცვლილებების მისაღწევად (Hoffman, 2006). მკვლევარმა დანიელა პისოიუმ გამოყო ტერორიზმის რამდენიმე მახასიათებელი: 1. შიშის გამომწვევი ტაქტიკის განსაკუთრებული ფორმა; 2. დემონსტრაციული, ძალადობრივი ქმედება სამართლებრივი და მორალური შეზღუდვების გარეშე; 3. ქმედება, მიმართული არამებრძოლი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ (პირდაპირი მსხვერპლნი არ არიან დარტყმის მთავარი სამიზნე, არამედ წარმოადგენენ შეტყობინებების გენერატორებს); 4. ქმედება, მიმართული პროპაგანდისტული და ფსიქოლოგიური ეფექტებისკენ (Pisoiu, 2017). გარდა ცოცხალი ძალისა, ტერორისტული საფრთხეები მიმართულია ქონების წინააღმდეგ. უსაფრთხოების სპეციალისტ მაიკლ ლაჰიფს მიაჩნია, რომ სკოლები აშკარად რბილი სამიზნეა, რადგან მათი არასათანადო დაცულობის მექანიზმები მსროლელს საშუალებას აძლევს ადვილად მიიტანოს იერიში საკლასო ოთახებზე (Lahiff, 2023). ამრიგად, ტერორისტების სამიზნეებად შეგვიძლია გამოვყოთ სკოლის მოსწავლეები და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.

ტერორისტების მხრიდან თავდასხმის ობიექტად სკოლის შერჩევას განაპირობებს მოსწავლეთა დიდი კონცენტრაცია, როგორც სკოლის შენობაში, ასევე მის შესასვლელებთან (Beňová et al., 2021). სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განმარტების მიხედვით, სკოლაში ძალადობა მოიცავს მუქარის სხვადასხვა ფორმებს, ასევე იარაღის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულს (Turanovic et al., 2022).
ტერორიზმის უკეთ გასააზრებლად მნიშვნელოვანია სიღრმისეულად მიმოვიხილოთ სკოლაში განხორციელებული ტერორისტული აქტების მძიმე შედეგები: სკოლის თანამშრომლებში შიშისა და სტრესის ჩანერგვა, მასწავლებლებში სამსახურისთვის თავის დანებების სურვილის გაჩენა (Turanovic et al., 2022), მოსწავლეებში ხანგრძლივი ემოციურ-ფსიქოლოგიური პრობლემების წარმოშობა (Woods, 2024). მკვლევრების სტეფანი მარტინესის, ჯეფრი შლეგელმილხისა და სხვათა მოსაზრებით, ბავშვების რეაქცია ამ ტრავმულ მოვლენებზე შეიძლება გამოვლინდეს დეპრესიის, შფოთვის, ძილის დარღვევის და ქცევითი პრობლემების სახით (Martinez et al., 2016).
2010 წელს იუნესკოს მიერ განხორციელებულმა დეტალურმა კვლევამ გამოყო საგანმანათლებლო სისტემის მთელი სპექტრის წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკური და სამხედრო ძალადობის შესაძლო მოტივები: განათლების ნებისმიერი

ფორმის თავიდან აცილება, მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი ნდობის დაკარგვა, განათლების სისტემის ფუნქციონირებისთვის ძირის გამოთხრა, საგანმანათლებლო დაწესებულებების განადგურება, როგორც მტრის დამარცხების ტაქტიკა (Samuel, 2021), ამასთან, ტერორიზმის აღიარებისა და მიმდევრების შეძენა (Maksimova et al, 2021) და მცირე ხნით დომინირების მოპოვება მსოფლიო დღის წესრიგზე (Yayla, 2021). წარმოგიდგენთ მსოფლიოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე ტერორისტული თავდასხმების ევოლუციას 2000-2017 წლებში (Beňová et al., 2021).

დიაგრამა №1. მსოფლიო მასშტაბით ტერორისტული თავდასხმების ევოლუცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე 2000-2017 წლებში



წყარო: Beňová et al., 2021

სკოლებში ბავშვების მაღალი კონცენტრაციის გათვალისწინებით, მათი დაშავებისა და სიცოცხლის მოსპობის ალბათობა ძალიან მაღალია. 2000-დან 2017 წლამდე სკოლებზე თავდასხმების შედეგად დაზარალებულთა და დაშავებულთა რაოდენობა ნაჩვენებია მე-2 დიაგრამაზე (Beňová et al., 2021).

დიაგრამა №2. სკოლებზე თავდასხმების შედეგად მსხვერპლთა და დაშავებულთა რაოდენობა 2000–2017 წლებში



წყარო: Beňová et al., 2021

საერთო ჯამში, განხილულ პერიოდში 2110 თავდასხმა განხორციელდა, რის შედეგადაც 2176 ადამიანი დაიღუპა და 6431 დაშავდა.

ტერორიზმის გლობალური საფრთხის მანიშნებელია მსოფლიოს სხვადასხვა დროს, რიგი ქვეყნის სკოლებში მომხდარი თავდასხმები: 1. 2014 წელს **პაკისტანის** ქალაქ პეშავარში, სამხედრო საჯარო სკოლაში ტერორისტული დაჯგუფების („თეჰრიკ-ე თალიბანი პაკისტანი (TTP)“) რამდენიმე წევრმა განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა. თავდასხმას 140-ზე მეტი ადამიანი (მათ შორის, უმეტესობა ბავშვი) ემსხვერპლა, ხოლო 100-ზე მეტი დაშავდა (Miller, 2014);

2. 2023 წელს **საფრანგეთში** ისლამისტმა ტერორისტმა ბასრპირიანი იარაღით თავდასხმა განახორციელა ქალაქ არასში მდებარე სკოლაში. დაიღუპა ერთი ადამიანი, ხოლო ორი დაშავდა (Hagger et al, 2025);

3. 2002 წლის 28 მაისს პალესტინელმა ტერორისტმა **ისრაელის** ქალაქ იტამარში, საშუალო სკოლის ტერიტორიაზე რამდენიმე მოსწავლე გასროლით მოკლა (Ministry of Foreign Affairs, 2025);

4. **ფინეთის** ქალაქ იოკელაში, სკოლაში მომხდარი ტერაქტის დროს შეიარაღებულმა პირმა რვა ადამიანი მოკლა და რამდენიმე დაჭრა არეულობის დროს (CBS NEWS, 2007);

5. **ოქსფორდის** საშუალო სკოლაში 15 წლის მოსწავლემ, ნახევრად ავტომატური პისტოლეტიდან ცეცხლი გახსნა, რის შედეგად ოთხი მოსწავლე დაიღუპა. თინეიჯერს ბრალი ტერორიზმის მუხლით წაუყენეს (Elamroussi et al. 2021).

განათლების თავდასხმებისგან დაცვის გლობალური კოალიციის მიერ შემუშავებული უსაფრთხო სკოლების დეკლარაცია შედეგებიდან გამომდინარე, გამოთქვამს ალბათობას საგანმანათლებლო დაწესებულებებზე სამომავლო თავდასხმის გაზრდის თაობაზე (Global Coalition to Protect Education from Attack, 2015). ამ თვალსაზრისს ამყარებს ტერორიზმის მკვლევრის ალექს შმიდის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ტერორისტული ძალადობა ხშირად გადამდებია, ერთი ახალი ტაქტიკა, განსაკუთრებით წარმატებული, იწვევს სხვა ჯგუფების მიერ იმიტაციას (Schmid, 2021). აღნიშნულის საპირისპიროდ, იუნესკო გამოსავალს რბილი ძალის გამოყენებაში, კერძოდ, განათლების აუცილებლობაში ხედავს (UNESCO, 2017). აღნიშნულ აზრს ემხრობა მკვლევარი პეტრა ბენოვა და მიაჩნია, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსწავლეებისა და პერსონალის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაზე (Beňová et al, 2021).

სკოლის ადგილი და როლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ტერორისტული თავდასხმის დროს დამცავი პროცედურების გაცნობიერების საკითხში (საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით)

ტერორიზმის პრევენციის არსი და მექანიზმები კომპლექსურია. მკვლევარ რიკ პიტერსის შემოთავაზებული განმარტების მიხედვით, პრევენცია ცუდი მომავლის წინასწარი განჭვრეტაა და ერთგვარი შანსია არასრულწლოვანისთვის მოქმედების ალტერნატიული გზებიდან აირჩიოს სწორი გზა, რაც ააცილებს მას მოსალოდნელ ხიფათს. ამერიკის ფედერალური გამოძიების ბიურომ პრევენციის რამდენიმე მექანიზმი ჩამოაყალიბა, რომელთა შორის არის განათლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა (Schmid, 2021). მკვლევარი ტომას სამუელი მიიჩნევს, რომ განათლება აღარ შეიძლება ჩაითვალოს თავდაცვის მეორად ხაზად, პირიქით, ის უნდა მიიჩნეოდეს ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის პირველად ხაზად (Samuel, 2021). კრიმინოლოგები პატრიცია და პაულ ბრანტინგემები ამტკიცებენ, რომ დანაშაულის მხრივ მაღალი აქტივობის ცენტრებს წარმოადგენენ ადგილები, სადაც ინდივიდები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ, როგორიცაა სკოლა (Burke, 2009).

შეიარაღებული თავდასხმის საფრთხე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე მოითხოვს დაწესებულების პერსონალისა და მოსწავლეების წინასწარ მომზადებას თეორიული და პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით, რათა ექსტრემალურ სიტუაციებში სამართალდამცავების მოსვლამდე სწორად განჭვრიტონ, თუ როდის და რა ქმედებები განახორციელონ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების მინიმუმამდე დასაყვანად. კვლევები ადასტურებენ, რომ თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა შესაძლებლობებს სწორად განახორციელონ საგანგებო სიტუაციის დროს გასათვალისწინებელი ქმედებები (Everytown Research & Policy, 2024).

ამერიკის კიბერუსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების სააგენტოს სახელმძღვანელო დოკუმენტის თანახმად, ტრენინგის მიზანია მოსწავლისა და

პერსონალის გათვითცნობიერება სკოლაში განხორციელებულ ინციდენტზე რეაგირების პროცედურებში, რასაც წლის განმავლობაში რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს (CYBERSECURITY & INFRASTRUCTURE SECURITY AGENCY, 2022). ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს ონლაინ სწავლების (ვიდეო ტრენინგი), სამაგიდე სავარჯიშოების ან სრულმასშტაბიანი სავარჯიშოების სახით. სკოლებმა უნდა გაითვალისწინონ დაწესებულებაში მომხდარ თავდასხმაზე რეაგირების მოდელები, როგორიცაა „გაქცევა, დამალვა და ბრძოლა“. რეკომენდაციის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ტრენინგის ჩატარებამდე წინასწარ უნდა დაგეგმოს გაქცევის ალტერნატიული მარშრუტები, სად შეიძლება უკეთ დამალვა თავდამსხმელისაგან და სხვ.

ეს არის სამი კომპონენტისაგან შემდგარი ტაქტიკა, რომელთა გამოყენებაც შეუძლია მოსწავლეს. ქვემოთ მოცემულია თითოეული ნაწილი თავისი ქვემიმართულებებით.

გაიქეცი!

გაქცევა პირველი ნაბიჯია, თუ ეს უსაფრთხო არჩევანია (Federal Emergency Management Agency, 2013).

გაქცევისას, ყურადღება უნდა მიექცეს ალტერნატიულ გასასვლელებს.

გაქცევისას სისწრაფე მნიშვნელოვანია.

არ შეიძლება დაყოვნება, წამებს მნიშვნელობა აქვს.

ალტერნატიულ მარშრუტებში მოიაზრება ფანჯრები და სხვა საავარიო გასასვლელებიც.

გაქცევისას აუცილებელია ნივთების დატოვება.

არ გაჩერდე მანამ, სანამ არ დარწმუნდები, რომ უსაფრთხო ადგილას მიხვედი.

ევაკუირებულები უნდა გაიფანტონ (არ დაჯგუფდნენ), ვინაიდან მოძრავ სამიზნეზე დარტყმა რთულია (Rock, 2020)

დაიმალე!

თუ ტერორისტი ახლოსაა, ან თავდამსხმელის ადგილი უცნობია, დამალვის გადაწყვეტილება შეიძლება უკეთესი არჩევანი იყოს (Vision Star Media, 2023).

უნდა მოიძებნოს კარგი სამალავი, თუ უსაფრთხო გაქცევის გზა არ არსებობს.

დაიმალე ისეთ ადგილას, სადაც კედლები შეიძლება იყოს უფრო სქელი (Federal Emergency Management Agency, 2013).

აუცილებელია სამალავის (ოთახის) ჩაკეტვა და ბარიკადების აღმართვა კარზე, ასევე სინათლის გამორთვა (Vision Star Media, 2023).

დახურეთ ფანჯრები და ჟალუზები (Federal Emergency Management Agency, 2013).

მობილურ ტელეფონს ხმა გამოურთეთ.

იბრძოლე!

თავდამსხმელთან შებრძოლება არის უკიდურეს ვარიანტი.

თავდამსხმელისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ახლომახლო არსებული ნივთები გამოიყენება იმპროვიზებულ იარაღად (Federal Bureau of Investigation, 2026).

შესაძლოა რამდენიმე სტრატეგიის კომბინაციური გამოყენებაც: მაგ. საკლასო ოთახში ჩაკეტვა, ოთახის ბარიკადებით გამაგრება, შემდგომ ფანჯრის ჩამსხვრევა და იქიდან ევაკუაცია (Vision Star Media, 2023).

აღნიშნულ თემაზე ცოტათი განსხვავებული მიდგომა აქვს დიდ ბრიტანეთს. აქ სკოლებს უტარდებათ ცნობიერების ამაღლების კამპანიები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიციის მიერ (Department for Education, 2024). განათლების დეპარტამენტს შექმნილი აქვს სასწავლო რესურსი, რათა დაეხმაროს სკოლებს უკეთ მოემზადონ და შეძლონ

რეაგირება ტერორიზმსა და სხვა სახის მნიშვნელოვან ინციდენტებზე. **გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე** პრინციპი აქტუალურია დანით ან ცეცხლსასროლი იარაღით თავდასხმის დროს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის თავდამსხმელი, ან რა შეიძლება იყოს მისი თავდასხმის მოტივაცია (NATIONAL COUNTER TERRORISM SECURITY OFFICE, 2023). ამავდროულად, ამ პრინციპების გაგება და დამახსოვრება ეხმარება ადამიანებს თითოეულ უნიკალურ ინციდენტზე სწორ რეაგირებაში.

სურათ №3. Run Hide Tell (გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე)

წყარო: ProtectUK, (2024)

ამერიკულ მოდელთან ერთად დიდი ბრიტანეთი ავსებს და ამდიდრებს განსახილველი პროტოკოლის თითოეულ საკითხს. **გაქცევის** დროს მოსწავლემ და მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. დაჟინებით მოითხოვოს, რომ სხვებიც მათ გაჰყვნენ. იმ შემთხვევაში, თუ მათ მოწოდებას არ უერთდება ვინმე, მას აღარ ელოდებიან.
2. არ დაკარგონ დრო ინციდენტის ყურებაში.
3. იმოძრაონ სწრაფად და ჩუმად, რათა არ მიიქციონ თავდამსხმელის ყურადღება (National Protective Security Authority, 2023).
4. არ უნდა დაკარგონ დრო ვიდეოების გადაღებასა თუ ნივთების შეგროვებაზე.
5. არ ეცადონ ტერორისტებთან მოლაპარაკებას (GOV.UK Campaign, 2017).

იმ შემთხვევაში, თუ გაქცევა შეუძლებელია, მაგ. ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ტერორისტის სიახლოვის გამო, მაშინ შემდეგი არჩევანი არის **დამალვა** ახლომდებარე ოთახში (National Protective Security Authority, 2023). ასეთ დროს დამატებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. ოთახში ჩაკეტვის შემდგომ მნიშვნელოვანია, რომ კართან და ფანჯარასთან ახლოს არავინ იყოს.
2. აუცილებელია სიმშვიდის შენარჩუნება, სანამ პოლიცია გამოჩნდება.
3. თავი უნდა შეიკავონ მოძრაობისაგან.
4. ამოეფარონ მყარი აგურის კონსტრუქციებს/მყარ კედლებს, რადგან ტყვიები გადის მინაში, ხესა და ლითონში (National Counter Terrorism Security Office, 2017);
5. ინციდენტის დროს კომუნიკაცია უნდა იყოს ჩუმი, მაგ. დაფაზე ან ფურცელზე დაწერით, ფიზიკური ჟესტებით, რათა თავდამსხმელის ყურადღება არ მიიპყრონ (Department for Education, 2025).

სტრატეგიის მესამე ნაწილია **შეტყობინება,** რომელიც მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. დარეკვა პოლიციაში, როდესაც ამის გაკეთება სრულიად უსაფრთხოა.
2. ოპერატორისთვის ყურადღებით მოსმენა და მისთვის რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიწოდება მომხდარის შესახებ, კერძოდ:

2.1 თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ;
2.2 ბოლოს როდის და სად ნახეთ თავდამსხმელი;
2.3 თავდამსხმელთა ვიზუალისა და რაოდენობის შესახებ;
2.4 დაშავებულების, მძევლების შესახებ (protectuk, 2020) ;
2.5 თავდამსხმელის იარაღის შესახებ (Department for Education, 2025).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისა, თუ მცირეწლოვანი ბავშვებისთვის შეიძლება რთული იყოს აღნიშნულ ტაქტიკებში გათვითცნობიერება. ამიტომ, დაწესებულებებს აქვთ უფლება შეიმუშაონ ალტერნატიული ღონისძიებები, მაგ. წინასწარ დაგეგმონ მათი მოთავსების ადგილები (Department for Education, 2025).

დიდი ბრიტანეთის განათლების დეპარტამენტის უახლოესი მიდგომების მიხედვით, სკოლამ

1. უნდა გაითვალისწინოს ტრენინგებში ჩართული მოსწავლეების ასაკი, შესაძლებლობები, ქცევები და ფსიქიკური ჯანმრთელობა (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რეაქციები);
2. უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებელი პერსონალის გადამზადება, რათა კარგად გაითავისონ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა და როლი საგანგებო პროცედურებში;
3. შენობის წინასწარი გაცნობით ხელი შეუწყოს პერსონალს გათვითცნობიერდეს რეაგირების ვარიანტების შესახებ, განსაკუთრებით იმაზე, თუ როგორ ჩაკეტონ სწრაფად სივრცე, როგორ გაამაგრონ კარები და როგორ უზრუნველყონ მოსწავლეებში სიმშვიდისა და დუმილის შენარჩუნება;
4. სიმულაციური ვარჯიშების/წვრთნების ჩატარებამდე უნდა გააფრთხილოს და ინფორმირებული თანხმობა მიიღოს მოსწავლეებისაგან;
5. უზრუნველყოს, რომ მოსწავლეებთან უსაფრთხოების პროცედურებთან დაკავშირებული საუბარი იყოს დამამშვიდებელი და თავდაჯერებული ტონით. მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მოსწავლეების შოკირება ან შეშინება.
6. პერსონალსა და მოსწავლეებს უნდა აუმაღლოს ცოდნა შეიარაღებული პოლიციის გამოჩენისას გასათვალისწინებელი შემდეგი საკითხების შესახებ:

6.1 მიჰყვნენ პოლიციელის მითითებებს;
6.2 შეინარჩუნონ სიმშვიდე;
6.3 მოერიდონ უეცარ მოძრაობებს, რომლებიც შეიძლება საფრთხედ ჩაითვალოს;

6.4 ხელები თვალწინ ჰქონდეთ;
6.5 თავდაპირველად ოფიცრებმა შეიძლება ვერ შეძლონ თავდამსხმელის იდენტიფიცირება, შესაბამისად, შეიძლება ურთიერთობაში სიმკაცრე გამოიჩინონ, იარაღი თქვენკენ/თქვენი ჯგუფისკენ მომართონ, დასვან შეკითხვები და ევაკუაცია განახორციელონ საფრთხის ჩავლის შემდგომ (Department for Education, 2025).

დიდი ბრიტანეთის ეროვნული ანტიტერორისტული უსაფრთხოების ოფისის (NaCTSO) მიერ შექმნილია მასწავლებლის სახელმძღვანელო (სახელწოდებით, „აქტი ახალგაზრდობისთვის: გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე“). აღნიშნული რესურსი იძლევა ინსტრუქციებს სკოლისთვის, რათა ზემოაღნიშნულ თემატიკაზე ჯერ მასწავლებლებს აუმაღლდეთ ცნობიერება მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენებით და შემდგომში მოსწავლეებს გადასცენ მსგავსი მეთოდით ცოდნა. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც სასწავლო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილია, გადმოსცემს სავაჭრო ცენტრში დანით ან ცეცხლსასროლი იარაღით თავდასხმის დროს სამი მეგობრის ამბავს, თუ როგორ მოახერხეს უვნებლად გადარჩენილიყვნენ განსახილველი დამცავი ქმედებების გამოყენებით. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ინციდენტის შემთხვევაში მათთან იქნება პასუხისმგებელი ზრდასრული პირი, რომლის მითითებებს უნდა დაემორჩილონ. შემთხვევების კვლევებიდან გამომდინარე, თავდასხმებისაგან გადარჩენილი ადამიანების ჩვენებებით დასტურდება, რომ განსახილველი დამცავი ქმედებების გათვალისწინებას შეუძლია სიცოცხლის გადარჩენა. სწავლის შედეგად ტრენინგგავლილ პირს უნდა შეეძლოს, ახსნას ზემოაღნიშნული წესების მნიშვნელობა, ასევე, როდის და რა ვითარებაში იქნება მათი გამოყენება მიზანშეწონილი (NATIONAL COUNTER TERRORISM SECURITY OFFICE, 2023).

დიდი ბრიტანეთის სკოლებში ცოდნის ამაღლების სამდონიანი სისტემა მოქმედებს: დისკუსიაზე დაფუძნებული, სამაგიდე სავარჯიშოები, წინამდებარე ცოდნის პრაქტიკულ (ცოცხალი) სავარჯიშოებში გადაზრდა. ტესტირება და სავარჯიშოები აჩვენებს, თუ რამდენად კარგად მუშაობს ინციდენტებზე რეაგირების გეგმები და პროცედურები. ამავდროულად, სავარჯიშოები დაეხმარება ადამიანებს თეორიული ცოდნის განმტკიცებაში და გამოცდილებას მისცემს, თუ როგორ უნდა მოახდინონ რეაგირება ინციდენტის დროს.

დისკუსიაზე დაფუძნებული სავარჯიშო ხელს უწყობს ინციდენტის დროს გასათვალისწინებელი როლებისა და პასუხისმგებლობების გარკვევას. მაგიდის სავარჯიშოები მოიცავს რეალისტურ სცენარს, რომლითაც მონაწილეები ცდილობენ გამოსავლის მოძებნას. ცოცხალი (live) თამაშის სავარჯიშოები წარმოადგენს გეგმის განხორციელების რეალისტურ რეპეტიციებს, რომლებიც იმართება კონკრეტულ ობიექტზე და კონკრეტულ დროში. ცოცხალი სავარჯიშოები განსაკუთრებით სასარგებლოა ლოჯისტიკის, კომუნიკაციებისა და ფიზიკური შესაძლებლობების შესამოწმებლად, ასევე ხარვეზების გამოსავლენად. ისინი დაეხმარებიან მონაწილეებს საკუთარი უნარებისადმი თავდაჯერებულობის განვითარებასა და გამოცდილების შეძენაში. აგრეთვე, სავარჯიშოები შეამცირებს პანიკას რეალური თავდასხმის დროს (Department for Education, 2025).

აღსანიშნავია მკვლევართა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით: „გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე“ თუ „გაიქეცი, დაიმალე, შეებრძოლე“? „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით განხორციელებული დინამიკური ტერორისტული თავდასხმების შესახებ საზოგადოებრივი ინსტრუქტაჟის მრავალფეროვნების გავლენა ქცევით განზრახვებზე: სცენარზე დაფუძნებული ექსპერიმენტული კვლევა გაერთიანებულ სამეფოსა და დანიაში“. ნაშრომში აღწერილია ორი კვლევა: ერთი ჩატარდა დიდ ბრიტანეთში, ხოლო მეორე - დანიაში. კვლევის მიზანი იყო გაეზომათ ქცევითი განზრახვები განვითარებადი ჰიპოთეტური სცენარების საპასუხოდ. ანუ მათი ინტერესი იყო სხვადასხვა სიტუაციის მიხედვით ინსტრუქციის პოტენციური გავლენის შეფასება რესპონდენტების ქცევით გადაწყვეტილებებზე. რესპონდენტებს ეცნობათ, რომ იკვლევდნენ „როგორი რეაქცია“ შეიძლება ჰქონოდათ ცეცხლსასროლი ან სხვა სახის იარაღით ტერორისტულ ინციდენტზე. მთლიანობაში გამოყენებული იყო ორი სცენარი - „გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე“ და „გაიქეცი, დაიმალე, იბრძოლე“ ამერიკული ვარიანტის მაგალითზე. თითოეულ მონაწილეს წარედგინა ორი სცენარიდან ერთ-ერთი, რომელიც განსხვავდებოდა თავდამსხმელთან სიახლოვის მიხედვით. რესპონდენტებს მიეცათ სხვადასხვა გამოგონილი სიტუაცია და მოქმედებისათვის ასარჩევი სავარაუდო შესაძლებლობები (პასუხები). კითხვებს თან ახლდა პასუხის რამდენიმე ვარიანტი, რომელიც მოიცავდა ინსტრუქციით რეკომენდირებულ ქცევას. მეცნიერების ინტერსი არ ყოფილა საველე ექსპერიმენტის ფარგლებში შეესწავლათ, როგორი იქნებოდა რესპონდენტების ქცევები სხვადასხვა სცენარებიდან გამომდინარე, ვინაიდან ის ჩატარებული კვლევის ფარგლებს სცდებოდა.

ორივე ინსტრუქცია იწყებოდა შემდეგი ფრაზით: „ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღით თავდასხმის შემთხვევაში“. ეთიკური მოსაზრებების გამო, გამოირიცხნენ ის რესპონდენტები, რომლებიც ტერორისტული ინციდენტის მსხვერპლები იყვნენ წარსულში.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ 1. საზოგადოების წევრები, რომლებიც გათვითცნობიერებულნი არიან ტერორისტული თავდასხმის დროს მოქცევის წესებში, სავარაუდოდ, უკეთ არიან აღჭურვილნი დამცავი ქცევის გამოსავლენად, იმ საზოგადოების წევრებთან შედარებით, რომლებიც არ იცნობენ განსახილველ ინსტრუქციებს; 2. „გაიქეცი, დაიმალე, იბრძოლე“ ინსტრუქციამ შეიძლება გაზარდოს მოქალაქეების მიერ აქტიური წინააღმდეგობის გაწევის ალბათობა საჭიროების შემთხვევაში, რაც პოტენციურად ხელს შეუწყობს სიცოცხლის გადარჩენას; 3. გზავნილი „გაიქეცი, დაიმალე, იბრძოლე“ არ გულისხმობს გაუმართლებელი გმირობის წახალისების რისკს; 4. მთავრობამ დანერგოს მსგავსი ტრენინგები სხვადასხვა სიტუაციის გათვალისწინებით; 5. ასევე, უზრუნველყოს დიფერენცირებული სწავლების დანერგვა შემდეგი შემთხვევებისთვის: ა. „გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე“ ინსტრუქცია იმ სიტუაციებისთვის, როდესაც თავდამსხმელი უფრო შორს რჩება, ბ. „გაიქეცი, დაიმალე, იბრძოლე“ იმ შემთხვევისთვის, როდესაც თავდამსხმელი უფრო ახლოსაა; 6. ინსტრუქციები ზრდის საზოგადოებაში დამცავ ქცევით განზრახვებს; 7. მკვლევრების მტკიცებით, მათ მიერ გამოტანილი დასკვნები შეიძლება კარგად აისახოს სხვა ეროვნულ კონტექსტებზეც.

მკვლევრების აზრით, „გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე“ ან „გაიქეცი, დაიმალე, იბრძოლე“ კამპანიების მიზანია ტერორისტული თავდასხმის დროს გაზარდოს საზოგადოების წევრების მიერ დამცავი ქცევების გამოყენების მოლოდინი და პირიქით, შეამციროს იმ ქმედებების თავიდან აცილების ალბათობა, რამაც შეიძლება გაზარდოს დაშავების

რისკი. მარტივი და ადვილად დასამახსოვრებელი ინსტრუქციების მიწოდებით, საზოგადოება უკეთ იქნება აღჭურვილი ტერორიზმის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად. ამასთან, სტატიაში აღნიშნულია, რომ სკოლის კონტექსტში „გაიქეცი, დაიმალე, იბრძოლე“ ვიდეოს და ბროშურის ყურებამ გაზარდა რესპონდენტების თვითეფექტურობის აღქმა (Parker et al., 2021).

ტერორისტული თავდასხმის დროს გასათვალისწინებელი დამცავი ქცევების თაობაზე საქართველოში ჩატარებული ემპირიული მონაცემების ანალიზი

საქართველოში ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ტერორიზმის პრევენციის კუთხით სკოლის მოსწავლეთა განათლების ამაღლებაზე ორიენტირებული ინტერვენციული პროგრამის ეფექტიანობის/როლის შეფასება. კვლევის ძირითად მეთოდად შეირჩა ექსპერიმენტული დიზაინი, რაც ინტერვენციული პროგრამების შეფასების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. მისი გამოყენების შედეგად, მკვლევარი ეყრდნობა მონაცემთა ორ ტალღას (ინტერვენციის წინ და ინტერვენციის შემდგომ ტესტირებათა მონაცემებს) და ახორციელებს მონაცემთა ანალიზს, მათ შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავების გამოვლენის მიზნით (Alessandri et al., 2017). ექსპერიმენტული (პრე-ტესტ და პოსტ-ტესტ) დიზაინის კვლევის ანალიზი შესაძლებელია ქულებზე ფოკუსირებით (KOELE et al., 1988), რაც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ როგორც ტესტირების ელემენტარული ერთეულები (ტესტური დავალება/შეკითხვა), ისე - დავალებათა ბლოკები და მთლიანად ტესტი (გამოვიყვანოთ ინტეგრირებული მაჩვენებლები/ქულები) და ვიმსჯელოთ შედეგების შესახებ პრე და პოსტ ტალღების კონტექსტში. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება სწავლების ეფექტიანობის შესაფასებლად. საგანმანათლებლო ინტერვენციების შეფასება ხელს უწყობს სასწავლო გეგმების განვითარებასა და ცვლილებას. თავისი არსით, შეფასება მიზნად ისახავს პედაგოგების დახმარებას, გააუმჯობესონ სწავლება/განათლება. საგანმანათლებლო ჩარევის მიზანია ცოდნისა და უნარების შეძენა, კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად ან პრაქტიკული ქცევის შესაცვლელად (Wilkes et al., 1999).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტული დიზაინის გამოყენება ტერორიზმთან დაკავშირებულ კვლევებში მეთოდოლოგიურ სიახლეს წარმოადგენს. ექსპერიმენტმა, რომელიც დიდი ხანია სოციალურ-მეცნიერული ცოდნის საფუძველია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა პოპულარობა ტერორიზმის შესწავლაში. ტერორიზმთან დაკავშირებული კვლევები მუდმივად საჭიროებს უფრო მეტ ემპირიზმსა და სოციალურ-მეცნიერული მეთოდების გამოყენებას, რათა ტერორიზმის მკვლევარებმა, უსაფრთხოების სპეციალისტებმა და პოლიტიკის შემქმნელებმა გადაჭრან ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი კვლევითი საკითხები. ამავდროულად, აღნიშნული მეთოდი საშუალებას აძლევს მკვლევარს შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით გააკეთოს სასარგებლო დასკვნები, რომლებიც ხელს შეუწყობს ანტიტერორისტულ პრაქტიკას.

ექსპერიმენტული დიზაინის გამოყენებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ამ სახის კვლევით შესაძლებელია: 1. შეფასდეს ტერორისტული პროპაგანდის ფსიქოლოგიური გავლენა, ასევე იმ შეტყობინებების ეფექტები, რომლებიც მიზნად ისახავს ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერის შეჩერებას; 2. გაიზომოს დამოკიდებულებები; 3. შეფასდეს ინტერვენციული პროგრამების აუცილებლობა (Braddock, 2019).

ინტერვენციის ინსტრუმენტი

ინტერვენცია განხორციელდა ტრენინგის სახით. ტრენინგის როგორც ძირითადი მასალა, ისე - დამხმარე ვიზუალიზაციის საშუალებები (რომლებიც წარმოდგენილი იყო პროგრამა PowerPoint-ში) მომზადდა შესაბამისი სამეცნიერო და სასწავლო წყაროების, დოკუმენტების, აგრეთვე, აკადემიური სფეროსა და დარგის ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე. ტრენინგს უძღვებოდა საჯარო სკოლის „სამოქალაქო განათლების“ პედაგოგი.

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა 6 ბლოკისგან:

1. ქვეყნისა და სკოლის წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები;
2. სასკოლო უსაფრთხოების სისტემის აუცილებლობა და სკოლაში ტერორისტული აქტის შედეგად შექმნილ საგანგებო სიტუაციაში მოსწავლეთა მხრიდან განსახორციელებელი ქმედებები;
3. უცხო ნივთებთან მოპყრობის წესები;
4. ტერორისტული საფრთხის მიმანიშნებელი საეჭვო ქმედებები და მასთან მიმართებაში გასათვალისწინებელი წესები;
5. მოსწავლეთა ინფორმირებულობა ტერორისტული ხასიათის ქმედებების გამო პასუხისმგებლობის მექანიზმების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით;
6. ტერორისტული რადიკალიზმის რაობა.

კვლევის ინსტრუმენტმა გაიარა პილოტირება (30 შემთხვევა). პილოტირების შემდგომი რედაქტირება განხორციელდა ექსპერტებთან და ტრენინგში მონაწილე მხარეთა ჩართულობით.

შერჩევა

შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით. ძირითად ინდიკატორებს წარმოადგენდა სკოლის მახასიათებლები და საკვლევი საკითხების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირებულობა სასწავლო პროგრამის მიხედვით. სახელდობრ, განათლების ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე, ექსპერიმენტის მონაწილეებად შეირჩა ქალაქ თბილისის №128-ე და №122-ე საჯარო სკოლების მე-11 კლასის მოსწავლეები. საჯარო სკოლები შეირჩა იმ მოტივით, რომ ქ. თბილისის სკოლების უდიდესი უმრავლესობა საჯარო სტატუსის მქონეა (https://mes.gov.ge, www.geostat.ge, 2026), ამასთან ერთად, აღნიშნული სკოლების მოცულობა საშუალოზე მაღალია (რამაც უზრუნველყო ექსპერიმენტში მონაწილეთა საკმარისი რაოდენობა - იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეთა მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, მცირე მოცულობის სკოლების შერჩევის შემთხვევაში, შესაძლოა, ვერ მოხერხებულიყო სტატისტიკური ანალიზისათვის რესპონდენტთა საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა). მეთერთმეტე კლასელთა შერჩევა მოხდა იმ მოტივით, რომ მათ უკვე გავლილი ჰქონდათ ყველა ის სასწავლო კურსი/სასკოლო საგანი, რომლებიც ტერორიზმს ან/და სასკოლო უსაფრთხოებას უკავშირდება. შერჩევის მოცულობა განისაზღვრა ორივე სკოლის მეთერთმეტე კლასელთა საერთო რაოდენობით (80 მოსწავლე).

პროცედურული ნაწილი

კვლევის პროცედურული ნაწილი მოიცავდა რესპონდენტთა გამოკითხვას ორ ტალღად ერთი და იმავე სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. საწყისი ეტაპი ითვალისწინებდა პრე-ტესტირების ჩატარებას (პირველი ტალღა), რასაც მოსდევდა ინტერვენციის ეტაპი, ხოლო ინტერვენციის შემდგომ, დასკვნით ეტაპზე განხორციელდა პოსტ-ტესტირება (მეორე ტალღა). ტესტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 30 წთ-ს.

ინტერვენცია (საგანმანათლებლო ხასიათის ტრენინგი) ჩატარდა ორ ნაწილად, 128-ე სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტში. 80 მოსწავლე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დაიყო ორ თანაბარ (40 წევრიან) ჯგუფად. ტრენინგი განხორციელდა ერთი და იმავე მასწავლებლის მიერ, ერთსადაიმავე ადგილას, 15 წუთიანი ინტერვალით, არასასწავლო პერიოდში. მეორე ჯგუფის წევრების შეკრება (დაშვება სკოლის ტერიტორიაზე) მოხდა მას შემდეგ, რაც პირველმა ჯგუფმა უკვე გაიარა პრე-ტესტირება და დაიწყო ტრენინგი (ტრენინგის დაწყებიდან 15-20 წუთის განმავლობაში). შესაბამისად, განსხვავებული ჯგუფის წევრებს არ ჰქონდათ ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება. ტრენინგი გაგრძელდა 35-40 წთ-ის განმავლობაში.

ტესტირება ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით - კონფიდენციალობის უზრუნველყოფისა და ტესტირების პროცესში მოსწავლისათვის თავისუფლად ოპერირების საშუალების მიცემის მიზნით. სტრუქტურირებულ კითხვარს ავსებდა თვითონ მოსწავლე, თუმცა, მის განკარგულებაში იყო სპეციალურად მომზადებული პერსონალი, რომლისგანაც, საჭიროების შემთხვევაში, იღებდა შესაბამის კონსულტაციას.

პროცედურები ჩატარდა კვლევის ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების თანხმობით. გარდა ამისა, მოსწავლეებისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა. მოსწავლეებს გადაეცათ ინფორმაცია როგორც კვლევის მიზნისა და განმახორციელებელი პირების, ისე - პროცედურული ნაწილის შესახებ.

კვლევის ძირითადი შეზღუდვებს წარომადგენდა დროისა და ფინანსური რესურსების სიმცირე.

მონაცემთა დამუშავება

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი განხორციელდა პროგრამა IBM SPSS Statistics 23-ის მეშვეობით (მონაცემთა დამუშავების პროცესში, ტექნიკური ხარვეზების გამო, კვლევიდან ამოღებულ იქნა 3 კითხვა).

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა როგორც აღწერითი, ისე - დასკვნითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით (ერთ და ორგანზომილებიანი სტატისტიკა, რეგრესიული და ფაქტორული ანალიზები).

მოსწავლეთა ინფორმირებულობის/ცოდნის მთლიანობაში აღქმისა და გაანალიზების მიზნით, მრავალცვლადიანი ანალიზის მეთოდების გამოყენებით, განხორციელდა ინდექსის შემოღება, რის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ცალკეული ტესტური დავალებების შედეგების ინტეგრირება და განზოგადებული დასკვნების გამოტანა როგორც ბლოკების, ისე - მთელი ტესტის/კითხვარის მიხედვით. აღნიშნული ინდექსი, მისი ფორმირების სტატისტიკური მექანიზმებიდან გამომდინარე, გამოხატავს რესპონდენტთა ინფორმირებულობის/ცოდნის, ინტეგრირებულ მაჩვენებელს, ამიტომ, პირობითად, მას განათლების ამაღლების ინდექსი ვუწოდეთ.

ინდექსის შემუშავების პროცედურა შემდეგნაირია:
საწყის ცვლადებს წარმოადგენდა ტესტური დავალებები/შეკითხვები. ფაქტორული ანალიზის, სახელდობრ, „მთავარ კომპონენტთა მეთოდის“ გამოყენებით, ხდება საწყისი ცვლადების გაერთიანება ერთ ფაქტორში. წრფივი რეგრესიული მოდელის მეშვეობით ხორციელდება ცვლადების მნიშვნელოვნებათა იდენტიფიცირება ფაქტორის ფორმირებაში. ინდექსის შემუშავება ხორციელდება შემდეგი წრფივი გარდაქმნის გამოყენებით:

$$\boldsymbol{y = C_0 + C_1 \sum_{i=1}^{n} B_i \times x_i}$$

სადაც $\boldsymbol{B_i}$ საწყისი ცვლადების B - არასტანდარტიზებული რეგრესიის კოეფიციენტებია, ხოლო $\boldsymbol{C_0}$ და $\boldsymbol{C_1}$ კოეფიციენტები შერჩეულია ისე, რომ $\boldsymbol{x_i(i = 1, n)}$ ცვლადების მინიმალურ მნიშვნელობას შეესაბამება ინდექსის (y-ის) მინიმალური მნიშვნელობა 0, ხოლო $\boldsymbol{x_i(i = 1, \mathrm{n})}$ ცვლადების მაქსიმალურ მნიშვნელობას შეესაბამება ინდექსის (y-ის) მაქსიმალური მნიშვნელობა

$$\boldsymbol{C_0 = -\frac{\sum_{i=1}^{n} B_i \times min(x_i)}{\sum_{i=1}^{n} B_i \times max(x_i)}\ ;\ C_1 = \frac{1}{\sum_{i=1}^{n} B_i \times max(x_i)}}$$

პრე და პოსტ ტესტების შეფასებებზე დაყრდნობით, განათლების ამაღლების ინდექსის შემუშავებამ მოგვცა შესაძლებლობა, განგვესაზღვრა ინტერვენციის (ტრენინგის) ეფექტი. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები მოწმობს, რომ პირველ და მეორე ტალღებს შორის არსებული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig.=0.000). ინდექსებს შორის განსხვავებამ ტალღების მიხედვით, 28.1% შეადგინა, რაც თავდაპირველი - პრე-ტესტის მაჩვენებლის 80.7%-ია, შესაბამისად, კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენცია (ტრენინგი) მაღალეფექტიანად შეიძლება მივიჩნიოთ:



რეგრესიული ანალიზის მეშვეობით, განისაზღვრა თითოეული ბლოკის საკუთრივი წონა განათლების ამაღლების ინდექსის ზოგადი მაჩვენებლის ფორმირებაში. აღსანიშნავია, რომ ყოველი ბლოკი სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირშია რეზულტატურ ცვლადთან:

	ბლოკი 1	ბლოკი 2	ბლოკი 3	ბლოკი 4	ბლოკი 5	ბლოკი 6
Sig.	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.986-ს შეადგენს, ანუ განათლების ამაღლების ინდექსის ვარიაციის მიახლოებით 99%-ს ხსნის:

Model Summary

Mo	R	RS	Adj	Std.

d e l		q u a r e	us te d R S q u ar e	E rr o r of t h e E st i m at e
1	. 9 8 6 [a]	0 . 9 7 3	0. 9 7 1	0. 0 3 0 4 3

ყველაზე მაღალი წონით მეოთხე ბლოკი გამოირჩევა - განათლების ამაღლების ინდექსის ზოგადი მაჩვენებლის ფორმირება, დაახლოებით 30%-ით, სწორედ ამ ბლოკით აიხსნება.



ინდექსების ზრდის ტენდენცია ბლოკების მიხედვით, შემდეგნაირია:



ის უმნიშვნელოვანესი შედეგი, რომ თითოეული ბლოკის შემთხვევაში, განათლების ამაღლების ინდექსის ცვლილება სტატისტიკურად მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს ტალღების (პრე და პოსტ ტესტირების) მიხედვით, კვლევის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგის მაღალეფექტიანობის კიდევ ერთ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

კითხვარის ერთ-ერთი ბლოკის კითხვიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანას წარმოადგენდა შემეფასებინა სკოლაში ტერორისტული აქტის შედეგად შექმნილ საგანგებო სიტუაციაში განსახორციელებელი ქმედებების შესახებ სკოლის მოსწავლეთა ცოდნისა და გაცნობიერების დონის შეფასება ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ. შესაბამისად, კითხვა შემდეგნაირად განისაზღვრა: თუ თქვენგან მოშორებით სკოლის შენობაში შეამჩნევთ პირს, რომელიც დანით შეიარაღებული ემუქრება ყველას და ამავდროულად თქვენ იმყოფებით სკოლის გასასვლელში, როგორ მოიქცევით? ტრენინგამდე მოსწავლეთა მხოლოდ 23.4%-მა უპასუხა სწორად შეკითხვას, ტრენინგის შემდეგ კი, აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად გაუმჯობესდა - 22.1%-ით გაიზარდა. აღნიშნული თავის მხრივ მეტყველებს იმაზე, რომ ტრენინგები იქნება ეფექტური ტერორიზმის პრევენციის საქმეში.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კვლევა პირველი ნაბიჯია იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად ეფექტიანია სკოლის მოსწავლეთა განათლების (ცოდნისა და გაცნობიერების) დონის ამაღლება ტერორიზმის პრევენციის, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მომხდარი ტერორისტული აქტის დროს თავდაცვის მიზნით განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე. ტრენინგის დახმარებით მოსწავლეებმა გააცნობიერეს სკოლაში საგანგებო სიტუაციაში მოსწავლეთა მხრიდან განსახორციელებელ ქმედებათა მნიშვნელობაც. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის შედეგები იძლევა საფუძველს ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ტერორიზმთან დაკავშირებული უსაფრთხოების მექანიზმები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. განათლების ამაღლება პრობლემის მართვის ერთ-ერთი ოპტიმალური მეთოდია: იგი ხორციელდება სწრაფად, ნაკლები დანახარჯებით და, როგორც კვლევამ აჩვენა, საკმაოდ მაღალი ეფექტით.

ჯერჯერობით ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ საუბარი ნაადრევია, შესაბამისად, სკოლამ უნდა იზრუნოს მოსწავლეთა და პერსონალთა მუდმივ განათლებაზე. მნიშვნელოვანია გაზიარებულ იქნას საზღვარგარეთის გამოცდილება, კერძოდ, „გაიქეცი, დაიმალე, იბრძოლე“ და „გაიქეცი, დაიმალე, შეატყობინე“ ინსტრუქციები, რამაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაზარდოს მოქალაქეების მხრიდან აქტიური წინააღმდეგობის გაწევისა და მათი გადარჩენის ალბათობა. ამ დამცავი ქცევების ეროვნულ დონეზე გაზიარების საფუძველს იძლევა მათი არაერთ ქვეყანაში სასწავლო მოდულად დანერგვის მაგალითები, ასევე დიდ ბრიტანეთსა და დანიაში ჩატარებული კვლევების მიგნებები და საქართველოში ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგები.

Germane Gvaramia

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-Mail: germane.gvaramia736@sps.tsu.edu.ge

School Education as a Survival Strategy During Terrorist Attacks on Educational Institutions

Abstract

In the 21st century, terrorism poses a critical challenge to the global security architecture. Terrorists increasingly aim to influence the global agenda by targeting various soft targets, including general education institutions. This article provides a comprehensive review of existing public guidance and protocols regarding active school assaults. Specifically, it examines and analyzes emergency directives developed by the United Kingdom and the United States, which outline individual response protocols during armed terrorist attacks within school premises. These official guidelines are widely known as "Run, Hide, Tell" and "Run, Hide, Fight." These strategies are internationally recognized and implemented as educational and training curricula in several countries, including France, Austria, Sweden, and Norway. Furthermore, this study evaluates and synthesizes empirical research findings conducted in the United Kingdom and Denmark.

Based on the analysis of the theoretical framework, an empirical study was designed and conducted in Georgia. A pretest-posttest design was selected as the primary research methodology, which represents one of the most robust approaches for evaluating intervention programs. The intervention was implemented in the form of educational training, utilizing a structured questionnaire as the primary research instrument. Participants were selected via a purposive sampling technique. The procedural phase of the study involved a two-wave survey administered to the respondents using the same questionnaire (before and after the training session). All procedures were carried out in strict compliance with research ethics requirements. Quantitative data processing and statistical analysis were executed using IBM SPSS Statistics (Version 23).

The primary finding of the empirical research demonstrates that the intervention implemented within the scope of this study can be considered highly effective. The variance observed between the first and second waves is statistically significant ($p < .001$), with the difference between the indices across waves amounting to 28.1%, representing an 80.7% relative increase from the baseline first-wave metric. This result suggests that school education is an effective strategy during a terrorist attack on a school.

Keywords: protective behavior, school, school emergency, pupil, terrorist attack.

ბიბლიოგრაფია

აბაშიძე, ზ. (2012). *დანგრეული კედლის ჩრდილში: 1990-1999*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. (2026). mes.gov.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2026). geostat.ge

Alessandri, G., Zuffianò, A., Perinelli, E. (2017). *Evaluating Intervention Programs with a Pretest-Posttest Design: A Structural Equation Modeling Approach*. Frontiers in Psychology*, 8*, Article 223.

Braddock, K. (2019). *A Brief Primer on Experimental and Quasi-Experimental Methods in the Study of Terrorism,* ICCT Policy Brief, DOI: 10.19165/2019.2.01, ISSN: 2468-0486.

Burke, R. H. (2009). *An Introduction to Criminological Theory*. (3rd Edition). Published by Willan Publishing.

CBS NEWS. (2007). *Finnish School Shooting*. https://www.cbsnews.com/pictures/finnish-school-shooting/18/

Cybersecurity & Infrastructure Security Agency. (2022). *K-12 school security guide (3rd ed.).* U.S. Department of Homeland Security.

Department for Education. (2024). *Act for Youth*. GOV.UK. https://www.gov.uk/government/publications/school-and-college-security/further-resources-security-advice-and-guidance

Department for Education. (2025). *Protective security and preparedness for education settings*. GOV.UK. https://assets.publishing.service.gov.uk/media/67ed54d298b3bac1ec299be5/Protective_security_and_preparedness_for_education_settings_guidance.pdf

Elamroussi, A., Moshtaghian, A. (2021). *School district releases details of key events leading up to Michigan shooting.* CNN. https://edition.cnn.com/2021/12/05/us/michigan-oxford-high-school-shooting-sunday/index.html

Everytown Research & Policy. (2024). *The Impact of Active Shooter Drills in Schools*. https://everytownresearch.org/report/the-impact-of-active-shooter-drills-in-schools/

Federal Emergency Management Agency (FEMA). (2013). *GUIDE FOR DEVELOPING HIGH-QUALITY SCHOOL EMERGENCY OPERATIONS PLANS*. U.S. Department of Homeland Security. https://www.fema.gov/sites/default/files/2020-07/guide-developing-school-emergency-operations-plans.pdf

Federal Bureau of Investigation. (2026). *Active Shooter Attack Prevention and Preparedness (ASAPP).* U.S. Department of Justice. https://www.fbi.gov/how-we-can-help-you/active-shooter-safety-resources/active-shooter-attack-prevention-and-preparedness-asapp#Hide

Global Coalition to Protect Education from Attack. (2015). *SAFE SCHOOLS DECLARATION*. https://protectingeducation.org/wp-content/uploads/documents/documents_safe_schools_declaration-final.pdf

GOV.UK Campaign. (2017). *What to do if you are caught up in a terrorist attack*. https://prepare.campaign.gov.uk/be-informed-about-hazards/terrorism/

Hair, O., Hagger, L. (2025). *Key Incidents Timeline.* Pool Reinsurance Company Limited.

Hoffman, B. (2006). *Inside Terrorism*. New York: Columbia University Press.

Karpova, A., Savelev, A., Maksimova, N. (2021). *Modeling the Process of School Shooters Radicalization (Russian Case)*, Social Sciences, Volume 10, Issue 12, 477; https://doi.org/10.3390/socsci10120477

Koele, P., Hoogstraten, J. (1988). *A method for analyzing retrospective pretest/posttest designs: I. Theory*. Bulletin of the Psychonomic Society, 26 (1), 51-54.

Lahiff, M. (2023). *Preventing Campus Violence: Common Characteristics of Mass Shooters.* Campus Safety. https://www.campussafetymagazine.com/insights/preventing-campus-violence-characteristics-mass-shooter/120988/

Lindekilde, L., Pearce, J., Parker, D., Rogers, B. (2021). *"Run, Hide, Tell" or "Run, Hide, Fight"? The impact of diverse public guidance about marauding terrorist firearms attacks on behavioral intentions during a scenario-based experiment in the United Kingdom and Denmark*. International Journal of Disaster Risk Reduction, Volume 60, 102278.

Mayerová, Š., Bekesiene, S., Beňová, P. (2021). *Securing Schools against Terrorist Attacks*. Safety, 7(1), 13. https://doi.org/10.3390/safety7010013

Miller, E. (2014). *Terrorist Attacks on Educational Institutions*. National Consortium for the Study of Terrorism and Responses to Terrorism (START). https://www.start.umd.edu/pubs/Peshawar%20School%20Background%20Report%20December%202014.pdf

Ministry of Foreign Affairs. (2025). *Victims of Palestinian Violence and Terrorism since September 2000*. Government of Israel. https://www.gov.il/en/pages/victims-of-palestinian-violence-and-terrorism

National Counter Terrorism Security Office. (2017). *Guidance Recognising the terrorist threat*. Government of the United Kingdom. https://www.gov.uk/government/publications/recognising-the-terrorist-threat/recognising-the-terrorist-threat#stay-safe--terrorist-firearms-and-weapons-attacks

NATIONAL COUNTER TERRORISM SECURITY OFFICE (NaCTSO). (2023). *Act for Youth: RUN HIDE TELL Teacher guidance and lesson plans Key stages 3 and 4*. ProtectUK. https://www.protectuk.police.uk/sites/default/files/2023-11/Run%20Hide%20Tell_Teacher%20Guide%20and%20Lesson%20Plan.pdf

National Protective Security Authority. (2023). *MARAUDING TERRORIST ATTACKS*: MTA guidance-making your organisation ready (3rd ed.)

https://www.npsa.gov.uk/system/files/documents/mta-guidance-making-your-organisation-ready_official-npsa-ed3-oct24.pdf

Petkova, E. P., Martinez, S., Schlegelmilch, J., Redlener, I. (2016). *Schools and Terrorism: Global Trends, Impacts, and Lessons for Resilience*. Studies in Conflict & Terrorism, Volume 40 (8), 701-711.

Pisoiu, D. (2017). *Theories of Terrorism (1st Edition)*. Routledge.

Protectuk. (2020). *Marauding Terrorist Attack (MTA): RUN HIDE TELL*. National Counter Terrorism Security Office. https://www.protectuk.police.uk/print/pdf/node/426

ProtectUK. (2024). Run Hide Tell: Stay safe-weapons and firearms attack. National Counter Terrorism Security Office. https://www.protectuk.police.uk/advice-and-guidance/security/stay-safe-weapons-and-firearms-attack

Rock, A. (2020). *Preparing for an Active Shooter Incident: 11 Tips from a Commander*. Campus Safety. https://www.campussafetymagazine.com/news/preparing-for-an-active-shooter/80038/

Samuel, T. K. (2021). Prevention of radicalisation in schools. In A. P. Schmid (Ed.), Handbook of terrorism prevention and preparedness (pp. 511–530). ICCT Press.

Schmid, A. P. (Ed.). (2021). *Handbook of terrorism prevention and preparedness*. ICCT Press.

Turanovic, J. J., & Siennick, S. E. (2022). *The causes and consequences of school violence: A review*. National Institute of Justice, U.S. Department of Justice. https://www.ojp.gov/pdffiles1/nij/302346.pdf

UNESCO. (2017). *Preventing violent extremism through education: A guide for policy-makers*. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization.

Vision Star Media. (2023). *Active Shooter Preparedness Training for Schools*. https://www.youtube.com/watch?v=x1nUMNW2LRY

Wilkes, M., Bligh, J. (1999). *Evaluating educational interventions*. BMJ, 318(7193), 1269–1272.

Woods, G. (2024). *9 Tips for Choosing the Right AI-Powered Gun Detection System for Your School*. CampusSafetyMagazine.com.

Yayla, A. S. (2021). Preparedness for terrorist firearms and bomb attacks in schools and crowded places. In A. P. Schmid (Ed.), Handbook of terrorism prevention and preparedness (pp. 789–808). ICCT Press.